ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო
სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და
ინფრასტრუქტურის კომისია

დასკვნა:**დ02.37221651**
თარიღი:**14/06/2022**

დასკვნა

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის პარკირების მართვის ცენტრის (ს/კ 437372745) ლიკვიდაციის მიზანშეწონილობაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცების შესახებ“ - პროექტზე

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ,,სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიამ” განიხილა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის პარკირების მართვის ცენტრის (ს/კ 437372745) ლიკვიდაციის მიზანშეწონილობაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცების შესახებ“ პროექტი და დაადგინა:

1. ა(ა)იპ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის პარკირების მართვის ცენტრი თავისი საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე გარკვეულწილად მოგების მიღების უზრუნველყოფაზეა ორიენტირებული. შესაბამისად, მისი მოწყობის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა და საქმიანობა მიზანშეწონილია განხორციელდეს ,,მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

2. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიაში მიმდინარე რეფორმის საფუძველზე გათვალისწინებულია შპს ,,ოზურგეთის მუნიციპალური ტრანსპორტისა“ და ა(ა)იპ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის პარკირების მართვის ცენტრის“ შერწყმა, რაც ხელს შეუწყობს:

- მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავტოსატრანსპორტო საშუალებების პარკირების საქმეში არსებული ხარვეზების ახმოფხვრას.

- ავტოსატრანსპორტო საშუალებების პარკირების მოწესრიგება გაზრდის ბიუჯეტის შემოსულობებს, რაც ზოგადად მუნიციპალური ტრანსპორტის გამართული საქქმიანობის ერთ-ერთი უზრუნველმყოფი წყარო იქნება.

3. კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება: არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის პარკირების ცენტრი“-ის (ს/კ 437372745) ლიკვიდაციის პროცესის დაწყებისა და დასრულების მიზნით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის მერს მიეცეს თანხმობა

ბექა თოიძე

სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და
ინფრასტრუქტურის კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი